გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 85
(11 746)

4 – 6 ნოემბერი, 2003 წ.
ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

• რეკორდსმენი ფალავნობაში

• ვანო ზოდელავას თასი მინიკალათბურთში

• ოთარ ხიზანეიშვილი ახლო პლანით

• უცხოეთის ფეხბურთის ამბები

• ტოტალიზატორის მოყვარულთათვის

• ლიშისის წასვლისა არ სჯერა...

• ტელე-პროგრამა, კროსვორდი

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის

გაანცხადება

დოკინგი მიჩნეულია სპორტული შეღავათის ხელოვნურად გაზრდის ხელშემწყობ ფარმაკოლოგიურ საშუალებად, რომელსაც სპორტსმენები იღებენ შეჯიბრების დაწყების წინ ან მის პროცესში.

საერთაშორისო ანტიდოპინგურმა სააგენტომ (WADA) სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა დოპინგს სპორტში. თითქმის ყველა საერთაშორისო სპორტულ ლონისძიებაზე ხდება სპორტსმენთა შეჯიბრების (შეჯიბრებები მოიცავს წინასაშეჯიბრო მოსამზადებელ პერიოდსაც).

მსოფლიოს ბეჭედ ქუეინმ, მათ შორის საქართველომ, ხელი მოაწერა საერთაშორისო ანტიდოპინგურ კონვენციას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დაიცვან 2003 წლის მარტში დანიაში მიღებული ანტიდოპინგური კოდექსი და შეასრულონ იგი შემდეგზე:

— გათვალისწინონ ევროსაბჭოს მიზანი თავის წევრთა შორის ერთიანობის განსამტკიცებლად, საერთო მეგზურეობის, იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და განხორციელებისათვის, ისევე როგორც მათი ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ხელშეწყობის მიზნით;

— გაიცნობიერონ სპორტის მნიშვნელოვანი როლი ჯანმრთელობის დაცვის, სულიერი და ფიზიკური განათლების, საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში;

— გამოხატონ შეშფოთება სპორტსმენების მიერ დოპინგის მზარდი გამოყენების გამო, რასაც უარყოფითი შედეგები ახლავს, როგორიც მონაწილეთა ჯანმრთელობის, ისე, საერთოდ, სპორტის მომავლისათვის;

— საქართველო უკვე მზადაა შეასრულოს ანტიდოპინგური საგანგებო კოდექსი და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს თავის ქვეყანაში დოპინგის გამოყენებას. სპორტსმენები, რომლებიც შემჩნეულნი იქნებიან დოპინგის გამოყენებაში, დისკვალიფიცირდებიან — პირველი დადებითი სინჯის შემთხვევაში ორი წლით, განმეორების შემთხვევაში სპორტში სამუდამო დისკვალიფიკაციით. კონტროლს დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან განახორციელებენ: სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი; საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი; სპორტული მედიცინის ასოციაცია; კიდევ ერთი „სპორტი ჯანმრთელობისათვის და დოპინგის წინააღმდეგ".

თქვენ რას ფიქრობთ?

„...თუ გამორჩევით მქმნელია"

დადგა XXI საუკუნე და ქართულმა სპორტმა თითქოს ხელახლა „აიდგა ფეხი". ნელ-ნელა ვიბრუნებთ ტრადიციებს, რომლებიც საამაყოდ შემორჩა თაობებს. უცხოეთში გზის გახსნამ, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობას მოჰყვა, ახალი სტიმული და ფართო გზა მისცა ნიჭს, რითაც საქართველო გამორჩეული იყო მუდამ. ეროვნული სპორტი ეროვნულ სიამაყედ იქცა. დადგა დრო, როცა საკმაო ხნის შემდეგ, ოლიმპიური დუმილი უნდა დაარღვიონ ჩვენმა ათლეტებმა და სიამაყით შეიდგან ფეხი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, აუცილებელ საქართველოს პიმნი ზემავალი ეროვნული დროშის თანხლებით და დასაბამი მიეცეს დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიური ოქროს მედლების ათვლას. ჩვენ ეს შეგვიძლია, სპორტსმენთა ამ თაობამ, მწერთნელთა, სპორტის ფუნქციონერთა დღევანდელმა ამჭარმა უნდა ატვირთოს ეს მისია. მაგრამ არც თითოეულ ჩვენგანს გვაქვს განზე დგომის უფლება, ჩვენ უნდა შევიტანოთ ჩვენი მოკრძალებული წვლილი საერთო ეროვნულ საქმეში. გაერთიანებისა და ერთიანი ფიქრის პირველ ნაბიჯად მიგვაჩნია პრობლემების ერთობლივი განსჯა, რომელთაგან უპირველესი ფინანსური პრობლემაა. რა ვქნათ, რაც გვაქვს, ის უნდა ვიცმაროთ, მაგრამ, როგორ? აი რა არის საკითხავი. ბოლო დროს ხაზოგადოებრივი აზრი იქითკენ იხრება, რომ დროა მრავალთაგან გამოვარჩიოთ სპორტის ის სახეობები, რომლებიდანაც მაღალ მიღწევებს მოველით და ისინი დავაფინანსოთ უპირატესად ბიუჯეტიდან გამოყოფილი ისედაც მწირი თანხით, მით უფრო, დიდი დრო აღარ რჩება ათენში ოლიმპიურ თამაშებამდე.

ეს თხოვნა აისახება ბოლოდროინდელ პუბლიკაციებშიც. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით? „ლელო" მზადაა წამოიწყოს ფართო მსჯელობა ამ თემაზე, მოგვწერეთ!

„ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია" – გვმოძღვრავს სულმნათი შოთა.

ჰოდა, მოდით, ჩვენც ვიმსჯელოთ, განვსაჯოთ და ისე ვიმოქმედოთ!

„ლელოს" რედაქცია

თურქეთს ოქრო არ შეხვდა

საქართველომ და რუსეთმა თურქეთში მძვრად გაიმარჯვეს ყველა ოქროს მედალი, რომელიც სტამბულში ახალგაზრდებს შორის XIX საერთაშორისო ტურნირზე გათამაშდა. თავის ტოლ ჭიდაობაში. რვა წონითი კატეგორიიდან მასპინძლებმა ვერც ერთი ოქროს მედალი ვერ მოიპოვეს. საქართველოს და რუსეთის წარმომადგენლებმა კი 4-4 დაიმსახურეს.

ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა ვაჟა გოგიაშვილმა, რომელიც გუნდს ახლდა თურქეთში, გვაცნობა, რომ ოქროს მედლები მოიპოვეს ბოლონისელმა მალხაზ ქერდიანმა (55), ჭიათურელთა კობა კაკალაძემ (60), რომელიც ფინალში შეხვდა თანაგუნდელ მიხეილ ზარქუას (ორს), იგივე ორს-დან მიხეილის ძმამ მალხაზმა (66) და თბილისელმა გიორგი მოსტაურეიშვილმა (74).

მესამე სარბიო ადგილზე გაიყვნენ ზაზიერელი ლაშა წოწაძე (50) და ადჭარელი ლეონ ნოზაძე (74).

„ბიპეზმა შესანიშნავად იასპორტზეს და როგორც ტურნირის ორგანიზატორთა, ისე მაყურებელთა სერიოზ სიმპათიები დაიმსახურეს. ტურნირი მიეძღვნა თურქეთის რესპუბლიკის 80 წლისთავს და შესანიშნავად იყო ორგანიზებული. მადლობა ყველას, ვინც ხელი შეგვიწყო და საშუალება მოგვცა გვეასპარეზა ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში" – თქვა ვ. გოგიაშვილმა.

ც. ბაძრაძე



ოსტატი და შეგირდი – ელენე ყიფიანი ზურა და ელენე გეგეჭკორელი



წყვილთა ცეკვებში – XII ადგილი.

„გრან პრის" ეტაპები ნინ უსწრებს ეროვნისა და მსოფლიო ჩემპიონატებს, ამდენად ძალზე მნიშვნელოვანია, ვინ როგორ გამოიჩენს თავს დიდი ასპარეზობის წინ" – გვითხრა ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ირაკლი ჯაფარიძემ. მისგანვე შევიტყვეთ, რომ საციგურაო სეზონი თბილისშიც გაიხსნა – მნყობრშია თბილისის მერიის დახმარებით განახლებული საციგურაო არენა სპორტის სასახლესთან. საციგურაო სკოლა უკვე შეუდგა უშუალოდ ვინულზე ახალი თაობის სპორტსმენთა მომზადებას.



ნანა ძაგნიძე მსოფლიო ჩემპიონია

საბერძნეთის ქალაქ კიდაში დასრულდა მოკიდრაკეთა ასაკობრივი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიაც დიდ წარმატებას მიაღწია ქუთაისელმა ნანა ძაგნიძემ. იგი 18 წლამდე მოჭიდრაკეთა შორის ასპარეზობდა, დაიკავა პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ზაფხულში ნანამ 20 წლამდე მოჭიდრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატიც მოიგო. მერონე ადგილზე გავიდა სოფიკო გურამიშვილი, ესეც დიდი წარმატებაა. 10 წლამდე ასაკის გოგონათა ტურნირში მესამე სარიზი ადგილი დაიკავა ევროპის ჩემპიონმა ნაზი პაიკიძემ. სალომე მელიასაც შეეძლო ჩემპიონობის მოპოვება, ის ბოლო ტურამდე ლიდერობდა, მაგრამ გადამწყვეტ პარტიაში დავარცხდა და მხოლოდ ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, კიდევ მეერე ქართველი მოჭიდრაკეა ასპარეზობდა როგორც გოგონათა, ისე ქალფუათა ტურნირებში, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, სარიზო ადგილების მიღმა დარჩნენ.

საპატიო თბილისელები

მათ შორის, ვისაც წელს „თბილისქალაქაბაზე" თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ, არიან ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები: დავით ცისკარიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, ლევან თუდიაშვილი და გურამ საღარაძე.

ვულოცავთ!

„გრან-პრი" – „პრიეტ"!

მსოფლიო მოცეკვავეებმა ახალი სეზონი გახსნეს და, რაც სასიხარულოა, ჩვენი სპორტსმენებიც არიან მათ შორის, ვინც ამ საპატიო გათამაშებაში მიიღო მიწვევა. მოზრდილთა შორის „გრან-პრის" ეტაპი აშშ-ში დაიწყო. აქ უძლიერეს წყვილთა პაექრობაში ჩაება სპორტის ამ სახეობაში ჩვენი პირველი ოლიმპიელი ვახტანგ მურვანიძე. აღსანიშნავია, რომ ვახტანგმა ასპარეზობა დაამთავრა რჩეულთა ექვსეულში (VI ადგილი), მაშინ, როცა რუსეთის №3 მოცეკვავე ა. ტიმოშენკო მხოლოდ მეცხე იყო.

პარალელურად ასპარეზობდნენ შორის „გრან-პრის" გათამაშება მიმდინარეობდა ხორვატიაში. იქ ჩვენ ქვეყნას წარმოადგენდნენ „ლელოს" მკითხველისთვის კარგად ნაცნობი ელენე გეგეჭკორელი. ელენეს დებიუტი წარმატებული გამოდგა – VII ადგილი მსოფლიოს 29 მოცეკვავეს შორის ურიგო შედეგი სულაც არ არის. ასევე წარმატებული გამოდგა მარინა შელენინას და ოთარ ჯაფარიძის სადებიუტო გამოსვლა

მარინა შელენინა და ოთარ ჯაფარიძე



მილოცვა

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, „ნორჩი დინამოელს" სანკტპეტერბურგის სპორტსკოლის დირექტორს ოთარ გეგეჭკორს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ამ საღებიპერიო სკოლის სხვადასხვა თაობის აღზრდილები და მწვრთნელები გულწრფელად ულოცავენ ბატონ ოთარს საიუბილეო თარიღს და უსურვებენ შემდგომ წარმატებებს ნორჩი თაობის ფეხბურთელთა. — ქართული ფეხბურთის საიმედო რეზერვის აღზრდის საქმეში.

მადლიერია სახელით: **ბორის სიჭინავა, ფირუზ კახნელაძე, ზორბეგ ებრაელიძე, რამაზ ურუშაძე, თამაზ კოსტავა, ვახტანგ კოპალეიშვილი...** ფეხბურთის გულშემატკივარი დურმიშიან ცინცაძე.

ის. 33-2 33.

ზაპთრის შოპავაპ ოლიპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 4 თვე გვაშორებს

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 288 დღე დარჩა

ვრენველიძეა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სარჩებს

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

ალექსი დავითაშვილი – რეკორდსმენი

პირველი ბვერდიდან

წელად ხანგლისაშვილს.

ბაზგასვით უნდა აღინიშნოს, რომ ასე ორგანიზებულად და ყოველწრივ შთაბეჭდილად ჯერ არც ერთი ფალავნობა არ ჩატარებულა საქართველოში, რაშიაც უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას (პრეზიდენტი გოჩა ძასიძოვი), რომელმაც დიდი ხანი არაა, რაც თავის ფრთებქვეშ შეიფარა ჩვენი ეროვნული საუნჯე – ქართული ჭიდაობა.

გამარჯვებულს გადაეცა უცხოური მარკის მსუბუქი ავტომანქანა, ასეთივე საჩუქარი დაწყებული იყო მაყურებლისთვის, რომელიც ლატარიის გათამაშებით მოიგო სპორტსზოგადოება „შევარდნის" მწვრთნელმა თავისუფალ ჭიდაობაში ნიკო როსტომაშვილმა. ფალავნობის მეორე პრიზორის გადაეცა ფულადი ჯილდო 1000 აშშ დოლარი, მესამე პრიზორის – 500 ამასთან, ფალავნისთვის „დიდი თასი" დაწესა პალიტრის მთავარმა სპმპრთველმა.

მარცხნიდან – ა. დავითაშვილი, ზ. ჩიქნავალაძე და ზ. ხანგლისაშვილი

მანქანა მაყურებელსაც ერგო

ასპარეზობას საზეიმო ელფერი შესძინა სხვა თანმხლებმა ღონისძიებებმაც: კომპანია „ჯაზვგმა" ფულადი ჯილდოები გადასცა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონ საქართველოს ნაკრებში გუნდის წევრებს; შესრულდა ქართველ ვეტერან სპორტსმენთათვის „საბატო თბილისელის" წოდების მინიჭების ცერემონიალი; ასპარეზობას თან ახლდა თეატრალიზებული სანახაობა; საჭიდაოს უკრავდა მართველების ეროვნული ანსამბლი „ივერიის" ფალავნობა ასე ამთლებულად ჩატარდა", – თქვა ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში გურამ სალარაძემ.

ბელიზედ საქართველოს ექსზის (1998-2003) ფალავანმა ალექსი დავითაშვილმა კი განაცხადა: „ბედნიერი ვარ ფალავნობაში რეკორდსმენი რომ გავხდი. სიმართლე გითხრათ, მანკანაზე ფიქრი ეს გამიხარდა. მანკანა ადრეც მომიგია. დიდი მადლობა ყველას!"

თ. სულაბერიძე

გორში ჭაბუკთა ჭიდაობის შეჯვრებები

გორში გაიმართა გორის ფიზკულტურის დამსახურებული მწვრთნელის (1935-1978) სახელობის საერთაშორისო ტურნირი 1988-1990 წლებში დაბადებულ ძიდეროსტა შორის.

საჭრთველოს ჩემპიონობის ერთად შეჯიბრებაში რუსეთის (ჩრდ. ოსეთის) და სომხეთის ორი რაიონის ძიდეოსტებიც მონაწილეობდნენ. გამარჯვებულები გახდნენ: ავთანდილ შეტიშვილი (მარტყოფი), შალვა ტატულაშვილი (გორი), გიორგი თათრიშვილი (გორი), ზებედე რეზოაშვილი (რუსთავი), არჩილ მინჯოაშვილი (მარტყოფი), ირაკლი ჭაბუკიანიძე (თბილისი), ჯაბა ტატულაშვილი, გიორგი ფურაშვილი, იოსებ ჩილინგარიშვილი (სამიგი – გორი), დავით თუთბერიძე (რუსთავი), დავით კარბელაშვილი (გორი), დავით სინაურიძე (ქუთაისი) და ბესარიონ მეზიაური (რუსთავი).

შეჯიბრებაში ამერ-იმერეთი და ორი მეზობელი ქვეყნის 300-ზე მეტი ჭაბუკი მონაწილეობდა.

მერვე ტრადიციული

„აკაკის ბაღში" გაიმართა მერვე ტრადიციული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელსაც „დიდების ღია პირველობა" ჰქვია და ყოველწლიურად „თბილისჭაბუკობის" დღესასწაულის დროს ტარდება. იგი ამირედან ამ შეჯიბრების სულისამდგმელის, დიდებულ ჭიდურეთის სპორტსმენტის ჯაფი თავმჯდომარის, სპორტის თავლსაჩინო მოღვაწის, ნუხა გაგოშიძის ხსოვნას მიეძღვნება.

„აკაკის ბაღში" წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები გახდნენ: ლევან ჭოჭიური (60 კგ. დიდებე), მამეკა სახვაძე (70 კგ. გორი), მერაბ ფანტულაია (80 კგ. გელდანი), დავით მეშველიანი (90 კგ. ლენტეხი). ლევან გორგაძე (+90 კგ. შეხეთა).

გამარჯვებულებსა და მეორე-მესამე პრიზიორებს დიდებე-ჭიდურეთის რაიონის გამგეობამ სხვადასხვა სახის ფასიანი საჩუქრები გადასცა.

რობერტ ბაგოიანის ფოტო

ვანო ზოდელავას თასზე

საინტერესოდ მიმდინარეობდა ქ. თბილისის მერის ვ. ზოდელავას თასის გაბმამაშება მინიალათბურთში. პირველ ეტაპზე, სექტემბერში გამოვლინდნენ დედაქალაქის ათივე რაიონის ორ-ორი საუკეთესო გუნდი, რომლებმაც მეორე ეტაპზე, 4 ჯგუფად დაყოფილებმა განაგრძეს ბრძოლა თასისთვის. პირველ ნახევარფინალში №1 ექსპერიმენტული სკოლის გუნდმა 29:23 დაამარცხა 53-ე სკოლის გუნდი, მეორე ნახევარფინალში იმარჯვა 36-ე სკოლის გუნდმა, რომელმაც მოუგო 141-ე სკოლელებს და გავიდა ფინალში. ფინალში კი წარმატებას მიაღწია 36-ე სკოლის გუნდმა (დირექტორი ს. გუდაშვილი, მასწ. დ. წოკალაური) 44:40. მეორე ადგილი წილად ხვდა №1 ექსპერიმენტული სკოლის გუნდს (დირექტორი ც. გოშხეთელიანი, მასწ. ვ. ჯანეიროშვილი). მესამე ადგილი დაიკავა 53-ე სკოლის გუნდმა (დირექტორი ლ. მარგველაშვილი, მასწ. დ. მოსეშვილი).

ტურნირი ჩატარდა ქ. თბილისის მერიისა და პირადად ვ. ზოდელავას ინიციატივით. ასპარეზობას კი უძღვებოდნენ ქ. თბილისის განათლების განყოფილების (უფროსი ე. მაჩაიძე, მ. ფილიევი) და რაიონების სპორტული სკოლების ხელმძღვანელები.

ფოტოები რობერტ ბაგოიანისა

გამარჯვებული

II პრიზიორი

არმაზელთა გამარჯვება

აფხაზეთში, სამრძოლო მოქმედების დროს დაიღუპა თბილისში ბავშვთა რაგბის ერთ-ერთი პირველი მწვრთნელი ეშხან სულკვლიანი. ამ ჰატრიარქი კაცის ხსოვნას მიეძღვნა ბავშვთა გუნდების ტურნირი რაგბში. ეს შეჯიბრება ისნის რაიონში 92-ე საშუალო სკოლის მოედანზე ჩატარდა. გამარჯვება და თასი 1989-1990 წლებში დაბადებულ ჭაბუკ მორაგბეთა გუნდებს შორის თბილისის „არმაზის" მოიპოვა (მწვრთნელი გია ამირხანაშვილი).

არმაზელებმა გაიმარჯვეს აგრეთვე 1991-1992 და 1993-1994 წლებში დაბადებულთა შორისაც.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე თბილისის გუნდები „ჯეკბი", „მგლები", „ხელოვნა", 180-ე სკოლა, ოსე, აკადემია და სხვ.

სურათზე: თბილისის „არმაზის" სხვადასხვა ასაკის ნორჩ მორაგბეთა გუნდი.

რობერტ ბაგოიანის ფოტო

III პრიზიორი

გამოიწერეთ ლ
2004 წლის I ნახევრისთვის

ფეხბურთი რასიზმის გარეშე

UNITE AGAINST RACISM

„ლოკომოტივი" - „დინამო" (ბთ) 3-2

ზეიმქსეულში მოხედრისთვის მებრძოლი „ლოკომოტივი", საშინაო მატს, საკუთარი სარბიელის წინასაარჩევნო ღონისძიებისთვის დაამთბის გამო, თბილისის ერთგულ სტადიონზე ატარებდა ახალი მწვრთნელით.

მართალია, რეზო არველაძის შემცვლელი — ლუის ცაცარიასისთვის „ლოკომოტივი" უცხო გუნდი არ არის, მაგრამ, ცხადია, კლუბში მეორედ მოსვლა მოგებით სულაც. რკინიგზელებმა ეს მართლაც მოახერხეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არაცთუ იოლად. ბათუმელებმა ბოლომდე იბრძოლეს და პირველ ტაიმში შეჭრილი ორი სახიფათო მომენტი რომ გამოეყენებინათ, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

პირველი სახიფათო მომენტი მე-10 წუთზე თბილისელთა მიერ ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა, — სტეფანოთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა და სირაძის დარტყმული გვერდითიმა ძლივ აისხლტება.

შუა ტაიმში გუნდები გააკეთეურდნენ და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს.

34-ე წუთზე ზამთარაძემ მარჯვენა ფლანგიდან ჯარიმა შეასრულა, ბურთისთვის ბრძოლაში ქმროლიძემ მოიგო და კარის ახლოს ფეხბურთი ვაშაძემ ანგარიში გახსნა. 39-ე წუთზე დინამოელთა კორტეჟეევისას, კაკალაძემ წშვენიერად აუარა გვერდი გოლის გადატანს, ბურთი მანჩხავამ გაუგორა, მან კი გოლის გატანის რეალური შანსი გაუშვა ხელიდან.

45-ე წუთზე იმავე მანჩხავამ მიერ ჩაწოდებულ საჯარიმოს დაეთი გალეგრემ თავი შეაშვება და — 1-1.

შუალეზებისას გ. ონიანის შეცვლელი ჭოჭაშვილი თამაშში აქტიურად ჩაერთო და მეორე ტაიმში ერთ-ერთი საყვარელი იყო მოედანზე. 54-ე წუთზე მან მიერ ცხრიანში ლამაზად დარტყმული ბურთი ბათუმელთა მეკარე ჭანჩახიამ სასწაულებრივი ნახტომით მოიგერია კუთხურზე. სტანდარტული დარტყმა თავად ჭოჭაშვილმა შეასრულა, ბათუმელთა მეკარე გამოსვლაზე შეცდა და სალტქმედ მეორე გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ ბურთი ძირითადად ბათუმელთა საჯარიმოში ტრიალებდა. 61-ე წუთზე სიპინავას პასით სოსელიამ კარიდან გამოსულ მეკარეს ბურთი თავზე გადააგდებდა და ორიგინალით სხეთაზე დააფრენდა.

დარჩენილ დროში სირაძეს ორჯერ შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მან მოგებების გამოყენება ვერ შეძლო.

მატჩის მიწურულს კი ახალი რიგანგის „ლოკომოტივის" საჯარიმოს მისადგომიდან ულამაზესი გოლი გაიტანა და საბოლოო შედეგი დაადგინა.

სოსო ჯავახიშვილი

XV ტურის სტატისტიკა

31 ოქტომბერი. თბილისი. სტადიონი „შევარდენი". 1000 მაყურებელი.

თბილისი – მცხეთა 3-1

თბილისი: ნაჭყებია, ქვარაცხელია, სიდამონიძე, ლილაძე, ელიავა, ფუციაური (გ. ნოდარაძე 46), ქუთელე (გ. ნოდარაძე 53), გოგიტა გოგუა, დ. ოდიკაძე (გეგნაძე 57), მესხი, მიქუნაძე, დავითაშვილი (ხოჭავა 69)

მცხეთა: ცინაძე, რაქვიაშვილი, ლ. ამბროზე, ლ. ქებაძე, თორქია (ბაგნიძე 69), ჩაჩუა, გ. ქებაძე (ხიდეშელი 21), ბ. ნოზაძე, ლ. ჩხეიძე (გვენცაძე 71), ფანასიანი, პარამონოვი.

გოლები: 1-0 დავითაშვილი (5), 1-1 პარამონოვი (35), 2-1 ქუთელე (73), 3-1 გეგნაძე (78).

გააფრთხილეს: ხიდეშელი (45), ჩაჩუა (66), გეგნაძე (88).

მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი).

31 ოქტომბერი. ფოთი. სტადიონი „ფაზისი". 500 მაყურებელი.

კოლხეთი 1913 – ტორპედო 0-2

კოლხეთი: ბათიაშვილი, ჯ. ზალამბერიძე, სვანაძე, მინდაძე (ბაღათარია 46), შ. ღონღაძე, ქუტიძე, მ. ჭოხელაძე, ლ. ხერხეულიანი (თაყვაძე 63), მარგალიტაძე, ღლონიძე, მალანია (გ. ტყებუჩაია 64).

ტორპედო: სტეფუტა, ხვადაგიანი, მამულაძე, გოგოლაძე, ს. თოდუა, ლ. ქუთელაძე, კვანტარაძე (ნაფირაძე 75), ნეფერაძე, გამეზარდაშვილი, ახალკაცი, ბაბუნაშვილი.

გოლები: 0-1, 0-2 ბაბუნაშვილი (2, 44).

მსაჯი: ა. კრიკუნაშვილი (თბილისი).

გააფრთხილეს: ქუტიძე (27), სვანაძე (67), ღონღაძე (75), ახალკაცი (81).

31 ოქტომბერი. ოზურგეთი. ცენტრალური სტადიონი. 1000 მაყურებელი

მერცხალი – ჩიქობავა 0-0

მერცხალი: გია გოგუა, კობაური (სიაშვილი 75), მგალობლიშვილი, ბ. ალუქაძე, ჭაღარეიშვილი, გ. ნიკოლაძე, ბენდელიანი, ბარაია, ჯინჭარაული, კალანდაძე, გიგვიანი (ხუცური 86).

დინამო: თ. ალუქაძე, ბაღაშვილი, ჩ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, რაზმაძე (ოღვენაშვილი 53), ლაკაბიძე, მარღიშელი (ჭიაბაძე 75), გ. ჩიტაია, ლ. გონაშვილი, კაიდარაშვილი, ძოძუაშელი (მ. ჩიტაია 63)

გააფრთხილეს: მგლობლიშვილი (90).

მსაჯი: ლ. ფანასიანი (თბილისი).

31 ოქტომბერი. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 700 მაყურებელი.

მილანი	12	5	3	4	10-8	18
ჩიხურა	12	5	1	6	14-14	16
დინამო2(თბ)	12	4	4	4	19-15	16
ივერია	12	4	4	4	10-17	16
ვიტესი(მც)	12	3	6	3	8-9	15
თსუ	12	4	2	6	18-14	14
გურია	12	4	2	6	14-17	14
აბერი	12	3	5	4	15-13	14
ლოკომ(სამტრ)	12	4	1	7	8-15	13
ლუკა	12	4	1	7	11-17	13
მეტალურგი	12	0	1	11	4-35	1

რეზიონული ლიგა

აღმოსავლეთის ზონა

სიონი (თბ)	—	ჰერეთი	0-0			
თ.ს. აკადემია	—	ერწყნისი	0-1			
ლოკომოტ.3	10	7	2	1	19-7	23
კახეთი	9	7	1	1	26-6	22
ნორჩი დინ.	8	5	3	0	15-7	18
სიონი-2(ბოლნ)	9	5	2	2	18-7	17
ცხნეთი	8	4	2	2	16-7	14
დინამო(სოხ)	9	4	1	4	12-15	13
ერწყნისი	5	4	0	1	9-6	12
აკადემია	9	3	2	4	14-10	11
დინამო(ახ)	8	3	1	4	14-15	10
ავაზა	8	2	2	4	4-10	8
ნორჩი დინ2	9	2	2	5	8-15	8
სიონი (თბ)	9	2	2	5	9-25	8
ჰერეთი	9	1	4	4	2-5	7
ერთობა	9	2	0	7	7-19	6
იბერია	9	1	0	8	4-23	3

ოთხეული დაწინაურდა

ეროვნულ ჩემპიონატში ორხელიანურების სულ ერთი დღით დამყარდა. შაბათის მთავარმა ლიდერთა მატჩმა „დინამო" ისევ დაამწიფურა, თბილისური გუნდების შეხვედრამ გამარჯვების ვერ გამოაკლისა. „დინამომ" ვიტესებთან გაიდიკაბი შეინარჩუნა. ტურნი გამარჯვული მატჩების უმეტესობა მასპინძლებმა მოიგეს. ერთბერთისი. მაგრამ ზნიშენელოვანი გამარჯვება მოიპოვა ბოლნისის „სიონმა". ოზურგეთიდან ქუღა წამოიღო გორის „დილამ". „თბილისმა" და „ლოკომოტივმა" ბეტონქვეზე თავიანთი უპირატესობა მოგებებით დაამტკიცეს. ერთადერთი მატჩი, რომელშიც სტუმრათა გუნდმა იმარჯვა, ფოთში გაიმართა. ბრაზილიურად გაწყრისნილმა ქუთაისის „ტორპედომ" სამხრეთამერიკელი მწვრთნელების ხელში პირველი მატჩი მოიგო ბაბუნაშვილის წყვილი გოლებით. კლუბ გაიზრდა ქართველები „კოლხეთში". ეს კოლხების მეცხრე მარცხია წლევანდელ ჩემპიონატში და თუ ასე გაგრძელდა, ფოთელთა საზრუნავი, საწვრთნოდ, მთლიანად ღიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. სატურნირო ცხრილში პირველი ოთხი გუნდი ამჟამად წინაა სხვა დანარჩენებზე. პირველი ტესის დასრულებამდე შეიდი ტურია გასამართი და ერთი თვე რჩება, მაგრამ ნებისმიერ გუნდს, ჯერ კიდევ შეუძლია ეთიარების გამყარება თუ გამოსწორება. ზეიქსეულისთვის ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. ამისათვის სულ ცოტა შეიდი გუნდი იბრძვის. ალბათ, შენრჩუნებენ თბილისისა — თბილისის „დინამოსთვის", ბოლნისის „სიონისთვის", თბილისის „ერთობისთვის" და გორის „დილასთვის" არაფერი შეიცვლება, ისინი მეფლებისთვის იბრძოლებენ.

დანარჩენი ორი გუნდის გამოყენისთვის მწვავე ბატალიებია მოსალოდნელი. ნაცნები ვნებათა ღელვა, არც ქვედა ექსპედიციები იქნება. საყურადღებოა შესაძლებელია, ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იმ გუნდებს მოეწეროთ ფიქრი, ვინც ერთ დროს, ღიდებითა მარჯვაში იყო და ჩემპიონობისთვის იბრძოდა.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
დინამო (თბ)	15	9	4	2	32-6	31
სიონი	15	8	6	1	18-8	30
ვიტ ჯორჯია	14	8	5	1	24-7	29
დილა	15	8	3	4	18-11	27
თბილისი	14	6	3	5	26-17	21
ლოკომოტივი	14	6	3	5	21-17	21
ტორპედო	15	5	4	6	13-16	19
მცხეთა	15	5	2	8	18-33	17
დინამო (ბთ)	14	5	1	8	17-17	16
კოლხეთი1913	15	3	3	9	9-21	12
სპარტაკი	15	2	4	9	8-36	10
მერცხალი	15	2	4	9	14-29	10

ბომბარდირი: ს. დავითაშვილი (თბილისი) — 11.

შემდეგი ლიგა

4 ნოემბერი. თბილისი. სტადიონი ს.კ. გადადებული მატჩი.

თბილისი – ლოკომოტივი

მსაჯები — ა. ზალამბერიძე, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, ა. შიღაკაძე, ინსპექტორი — ი. მჭედლიშვილი, დირექტორი — ჯ. ბურჯანაძე.

პირველი ლიგა

გუშინ:

ლოკომოტ. (სამტრ) — ივერია 0-2
ცხინვალი — ლუა 2-0
ჭოხელაური — გერია 3-2
თსუ — დინამო2 (თბ) 0-2
ჩიხურა — ოლიმპი 1-1
გორდა — სამგურალი 1-0
მილანი — მეტალურგი 3-0
აბერი — ვიტ ჯორჯია (მცხეთა) 1-1

გადადებული მატჩი

ცხინვალი — ოლიმპი (6.11)

ჭოხელაური	11	8	1	2	19-8	25
სამგურალი	12	6	4	2	14-7	22
ოლიმპი	10	6	4	0	19-8	22
გორდა	12	6	3	3	13-10	21
ცხინვალი	11	5	4	2	18-7	19

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დრმა მწუხარებით იუწყება თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელის, ბოლნისის სიონის მწვრთნელის

ზვირუზ რევიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი დრმა მწუხარებას გამოთქვამს

ზვირუზ რევიშვილის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი დრმა მწუხარებას გამოთქვამს

ზვირუზ რევიშვილის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ბანაზოდი — 4,5 კმ; გამოსვლება 6 კმ, 14 სთ. კ. ბოლნისი, მაშავრას №3

ხუთშაბათს, 6 ნოემბერს, 14 საათზე სფფ-ს საპატო დარბაზში პრიორიტეტული ფეხბურთის ლიგისა და სამსაფრო-სანისპექტორო კომიტეტის ხელმძღვანელები უმაღლესი და პირველი ლიგის ინსპექტორებთან ჩაატარებენ ერთობლივ თათბირს. მსაჯობის დონის ამაღლების, ინციდენტების აღკვეთის, კლუბების ხელმძღვანელებისა და ფეხბურთელების მიერ დისციპლინის დარღვევების დეტალურად გაანუქების საკითხებზე.

„მტრისას, თუ ცუდ ხასიათზე გავიღვიძე...“

ოთარ ხიზანიშვილი – დაიბადა 1981 წლის 26 ივნისს, ქალაქ ბორჯომში. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის თამაში 12 წლისამ დაიწყო, მალე მიაღწია წარმატებებს. 16 წლისა იყო, ეროვნულ ნაკრებში საბერძნეთის წინააღმდეგ რომ იასპარეზა. 2000-2001 წლებში თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკში“, შემდეგ „როსტსელმაშში“, მაგრამ გულმა მაინც საქართველოსკენ უბიძგა და მის საყვარელ ძველ გუნდში, თბილისის „დინამოში“ დაბრუნდა. არის საქართველოს თასის ორგზის მფლობელი, საქართველოს სამგზისა და რუსეთის ჩემპიონი. ჰყავს მეუღლე და პატარა შვილი – ნინი.

– ძალიან მსურდა ფეხბურთელი რომ გამოვსულიყავი. არც ისე პატარა ვიყავი, როდესაც მამაჩემის მეგობარმა, გოჩა ავსაჯანაშვილმა თავისთან, 35-ე სკოლაში მიმიწია. ან, ასე დაიწყო ჩემი საფეხბურთო კარიერა – ისხენებს ოთარი.

● *„დინამოში“ როგორ აღმოჩნდი?*

– მართალია თავიდან „დინამო 2“-ში ჩავრიცხე, მაგრამ იქ თამაში ცოტა ხნით მომიწია. დავით ყიფიანმა ჩემი გადმოყვანა დიდ „დინამოში“.

● *თამაშობდი იოან ბოსკამპის დროსაც...*

– დიახ, ძალიან კარგი მწვრთნელი იყო. მისი წყალობით მოვხვდი ეროვნულ ნაკრებში.

● *როდესაც ბოსკამპმა თავისთან ბელგიურ „გენკში“ მიგიწვია, უარი რატომ უთხარი?*

– იმიტომ, რომ მჭირდა ორი არჩევანი: „სახალო გუნდი“ ან „გენკი“. ჩემთვის სამწუხაროდ, რუსეთი ვარჩიე.

● *სამწუხაროდ, ალბათ იმიტომ, რომ ცოტა ხნით მოგიწია თამაში ძირითადში...*

– სწორედ რომ ასე იყო. მეტწილად სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, თან ვარჯიშისას ტრავმაც დამრჩა. მერე იძულებული გავხდი „როსტსელმაში“ გადასულიყავი, თუმცა, იქაც არ გამიმართლა და საბოლოოდ „დინამოში“ დავბრუნდი ცოტა ხნის შესვენების შემდეგ.

● *დინამოსთან დეკემბერში მოთვრდება შენი ურთიერთობა, არის რაიმე შემთავაზებები?*

– დიახ, არის. მაგრამ დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. დეკემბრამდე, მართალია, ცოტა დრო დარჩა, მაგრამ ყველაფერი მალე გაირკვევა.

● *შენ ძალიან დიდი გამოცდილება გაქვს ფეხბურთში, ყველა გაცნობს. „დინამოში“ და ეროვნულშიც წარმატებებს აწერ. ამ ყველაფრის შემდეგ თქვი თუ არა, რომ დიდი ფეხბურთელი ხარ?*

– არა. არანაირად. ჯერ მარილა ბევრი მაკლია დიდ ფეხბურთელობამდე.

● *მოდი, ახლა გადავიდეთ შენს ბავშვობაში, როგორი იყავი?*

– როგორც ყველა – ცელქი და მოუსვენარი. მაგებელი არ ვყოფილვარ. ერთი ის იყო, რომ ერთ ადგილას ვერ მაჩერებდნენ.

● *თუ შეუძლებელია შენთვის ბედნიერი სახელი?*

– კი, როგორ არა. თანაც, ძალიან ბევრი, რომ ჩამოვთვალო, შორს წაგვვყანს. ისე, ხშირად „ბიზანას“ შეძახიან – გვარიდან გამომდინარე.

● *შეგიძლია თუ არა დაახასიათო შენი თავი?*

– (იცინის). ვფიქრობ, ცუდიო, – არ მეთქმის. სულ კარგ ხასიათზე ვარ, მაგრამ თუ ცუდ გუნებაზე გავიღვიძე, მტრისას, ყველაფერი დამთავრებულია. მაგრამ ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება.

● *იქნებ მაგნიტური დღეებიც გქონია ცუდ ხასიათზე გაღვიძება. მაგრამ ჩინეთელი შენი კოლეგა, სადაც ისიცაა მინიშნებული, რომ „რასაც ხელს მოკიდებს, ყველაზე უკეთესი უნდა იქნეს“. მართალია?*

– ალბათ, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ.

● *როგორ იწყება შენი ჩვეულებრივი დღე?*

– ჩვეულებრივად (იცინის)... დილით თუ ვარჯიში არ მაქვს, გვიან ნობამდე მძინავს. თუ არა, დაახლოებით 8-9 საათზე ადგება ჩემი საშუალო დღე. ისე, ერთი ჩვეული კი მაქვს: დილით თაფლიანი წყალი თუ არ დავლიე, ის დღე წასულია.

● *ხანდახან თუ...*

– არა, ყოველ დილით.

● *ხარ თუ არა თვითკრიტიკული, ან თუ აკრიტიკებ სხვას?*

– არანაირად, თვითკრიტიკული რატომ უნდა ვიყო? – სხვას რაც შეეხება, არ მიყვარს სხვაზე საუბარი, ეს ხომ პრობაობა.

● *აა, ჯორი? მაშინ მითხარი, თუ გაგიგია შენზე რაიმე ჭორი?*

– ვერ გეტყვი, რომ ჯორებში ვტრიალებ. ხანდახან კი მომიკრავს ყური, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია.

● *როგორი იყო შეყვარებული „ბიზანა“?*

– აუ... ძალიან დაბნეული, მოწყენილი და სულ ეფიქრობდი... ისე, მიჭირს გახსენება, მაგრამ კარგი პერიოდი იყო.

● *ცოტა უცნაურად შეიძლება მოგეჩვენოს, ახლა რაც უნდა გკითხო, მაგრამ მაინც, თუ ხარ ქეფის მოყვარული ადამიანი?*

– ძალიან იშვიათად ესეც, ცოტას თუ წავეპატიჟები მაშინ, როცა რაიმე საგანგებო შემთხვევაა, ან ეინმეს დღეობაა. ისე, რა გამოლევს ასეთ დღეებს. თავგამოდებული, თუნდაც მოგარულის დონეზე მოპირისპირე ვარ.

● *თამადობა გეხერხება?*

– თამადობა არა, ყანწის დაკვეთა კი (იცინის).

● *როგორი მეგობარი ხარ?*

– ცუდი არ უნდა ვიყო. სიმართლე რომ გითხრა, ჩემთან ერთად არც ერთი მეგობარი არ საუბრობს ჩემს შესახებ. თუ გაიკითხე, ვფიქრობ, ცუდად არავინ დამახასიათებს.

● *გყავს გამორჩეული მეგობარი?*

– ყველას პატივს ვცემ და ვაფასებ, ჩამოთვლით კი ნამდვილად ვერ ჩამოვთვლი.

● *გაქვს ურთიერთობა ყოფილ რუს გუნდელებთან?*

– სამწუხაროდ, არა.

● *პირდაპირ მითხარი, იდარდებ ხარ?*

– (ფიქრობს)... ალბათ კი, რადგან, რაც მსურდა, ყველაფერს მივაღწიე.

● *ყველაზე მეტად რისი გეშინია?*

– ძაღლის...

● *რატომ?*

– ისეა და რა ვქნა. ცხოველები თუმცა ნამდვილად მიყვარს, ძაღლის მაინც მეშინია.

P.S. *„ბიზანა“ მართლაც ოპორაინი და ხალისიანი რესპონდენტი აღმოჩნდა. შემიძლია ვთქვა, რომ მასთან ნამდვილად ეკრავენ მოიწყენს. გალიის, ბრიტანეთის და ირლანდიის კლუბების ქომაგების, ანუ დროდადრე ბოსოსკოპთ 25 ივნისიდან 4 ივლისამდე დაბადებულები „ვაშლის ხეს“ განკუთვნებიან. ამ ნიშნით დაბადებულთა თვისებებია: „გულითადობა, ინტელექტუალურობა, დაფიქრებულობა, ლოღეა, ანალიტიკური გონება“, რაშიც დაბოლოს ვერ ვხედავ ჭიმას რეპრეზენტაციას.*

და კიდევ: „ვაშლის ხის“ ნიშნით დაბადებულნი: რუბენსი, ჯ ენრიხ VIII, რუსო, ჯორჯ სანდი, ჰ. ნექსი...

ესაუბრა
ლელა ჯანკოფაძე



მოგონებები ილოს პირველი ნიკოლოზიდან

შარვლით...

ქ. ტაშკენტი რატომღაც ცუდად გვქონდა დაცდილი. ჩვენი მოგზაურობა მეტწილად გაუთვალისწინებელი თავგადასავლებით მთავრდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი ძველი ნაცნობი კორეელის მონახულება გადავწყვიტე. ტაშკენტის დასახლებაში ცხოვრობდა. ვინაიდან თვითმფრინავი დილით ადრე მიფრინავდა, იქიდან გვიან ღამით მოვბრუნდებოდი. მასპინძლის სახლიდან სულ მცირე მანძილი მქონდა გავლილი და უცბად, გაკაპასებული ძაღლი თვალისდახამხამებაში მეცა, შარვალი ჩამომაფხრინა და ბასრი კბილებით წვივიც გვარიანად ჩამომაკარა. ძლივს გამოვაღწიე. როგორც იქნა ტაქსი მოვნახე და სასტუმროში წავედი. დასისხლიანებულს და ტანსაცმელჩამოფხრწნილს ილო ბოჭორაძემ ჯერ სიცილი დამაყარა, მერე რომ ნახა, სასაცილოდ არ მქონდა საქმე, არყით პირველი დახმარება აღმომიჩინა. სად მეყიდა შარვალი, დილის რვა საათამდე, ვერ მომეფიქრებინა. მთელი ღამე ილო ბოჭორაძის და უშანი ფურცელდძის ქილიქში უძილოდ გავატარე. ინთია თუ არა, ფეხბურთელთა გუნდის ადმინისტრატორს – ბარსკის დავუკაკუნე და რაც გადამხდა მოვუყევი. მალე მომაკითხა, ჩავიცი ილოს შარვალი და გავეცი მაღაზიაში, რომელიც ჩემი გულისთვის თურმე სპეციალურად გააღებინა. გამგემ სულ იმპორტული საქონელი გადმოალაგა (მაშინ იმპორტული დეფიციტს წარმოადგენდა). შარვალს საზაფხულო ფეხსაცმელი და კარგი პერანგიც მოაყოლა, თან სუვენირად უზბეკური ორნამენტებით მოჭედილი ერთპირა ხანჯალი და ნაციონალური ქუდი – „ნიბინეიკაც“ დაუმატა. მადლობის მეტი რა უნდა მეთქვა.

ახე გამოწყობილს რომ შემხედეს ჩვენმა ბიჭებმა, შუბრის ნიშნად თავი გააკანკრეს და სინანულით ნაილულღეს – „ყველაფერს ბედი უნდა, ნეტავი იმ ძაღლს ჩვენც დავეგლიჯეთო“

ელდარ ჩიფჩიური.

გაუშვთა ფეხბურთი სასკოლო ტურნირის ფასი

ბავშვებს ფეხბურთი ყველგან უყვართ, მაგრამ განსაკუთრებით დასფასებულია ის სკოლა და მისი ხელმძღვანელობა, სადაც ამ სიყვარულს მოზრდილს არაიშუ უღირებენ, პირადი შესაძლებლობების გამოულინს საშუალებასაც აძლევენ. ასეთი ქ თბილისის №63 უმპიერნინებული სკოლა (დირექტორი ლ. ურიდია, ფიზწყრდის მასწავლებელი ე. ცულუანიშვილი). აქ ხშირად ატარებენ შეჯიბრებებს მინიფეხბურთში. ამჟამად კი ტურნირში 10 გუნდი მონაწილეობდა.

დაწყებით კლასებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა IV-1 კლასის გუნდი (დამრიგებელი ნ. არეშიძე), მერიც ადგილი წილად ხვდა მესამე პარალელურ ჯგუფელებს. V-VII კლასებს შორის გამარჯვება დარჩათ VII-2 კლასელებს (დამრიგებელი ლ. კაპანაძე), მერიც იყო პარალელური პირველი ჯგუფის გუნდი.

უმცროსებში თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს მცირე სპა ხაოშიან, მცირეა ჯაბა ბაყურაძემ, ნანგარაკელმა დათო ნეფარიძემ, ბიმშარიძიანი გახდა შიშკო ჭითაძის, სატყეოსო მოთამაშე – ლუკა ჯერტენაძი, უფროსებში სატყეოსო ფეხბურთელად აღიარეს ჯაბა წოკლაური, სატყეოსო ნახევრმცველად – ამირან გოგია, ბომბარდირად – ლაშა გოგიჩაშვილი, მცველად – გიორგი ლაზიაშვილი, მეკარედ – ნიკა შენგელია. სატყეოსო გუნდები და ფეხბურთელები საზეიმოდ და ღირსეულად დაჯილდოვეს.

ასეთი ტურნირებიდან ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ. ჭარიული ფეხბურთის ხვალინდელი დღისთვის მნიშვნელოვანია ყველა ტურნირი, თუნდაც ის სასკოლო იყოს.

ელიზბარ სულთანიშვილი.
ფოტოები რობერტ ბაგოთანისა

ეს ფოტოსურათი მე გადავიღე 1979 წლის 15 აპრილს ქ. ლენინგრადში, კიროვის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. მაშინ თბილისის „დინამოელებმა“ დაამარცხეს ადგილობრივი „ზენიტი“ 1-0, ბურთი გაიტანა ვლადიმერ გუცაევმა. სამწუხაროდ, ჯერ სრულ მძიმე ტრავმა მიიღო დინამოელმა თამაზ ჯოხტაველმა. სარბენ ბილიკზე ის ხელში აყვანილი მოჰყავთ ანზორ გაბიტაშვილს და რევაზ ჩელებაძეს. მათთან ერთად არის გუნდის ექიმი ზაქარია თველი, სათადარიგოთა სკამზე ფეხზე დგას ნოდარ ახალკაცი.

დურგიშვილი
ცინცაძე

ფოტოფაქტი

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

კობიაშვილმა და „შალკემ" გერმანიის ჩემპიონს აჯობეს

გასულ შაბათ-კვირას ევროპის ქვეყნების ეროვნულ ნაკრებთა ბუნდესლიგის ჩემპიონატებში მორიგი ტურის მატჩები შედგა.

იტალიის სერია „ა"-ს მერვე ტურში ეკატერ კობერის წასული შემდეგ, „ინტერმა" ძაღლურის ხელმძღვანელობით პირველი გამარჯვება იზეიმა, — სტუმრად გამართულ შეხვედრაში 2-0 დაამარცხა „იუვეს". 65-ე წუთზე ანგარიში ვიერით გახსნა, ოთხ წუთში კი რეკობამ მეორე გოლი გაიტანა „იუვის" კარში. ამ შეხვედრაში „იუვის" ათი კაცის შემადგენლობით თამაშობდა 35-ე წუთიდან, იმ მომენტიდან, როცა მსაჯმა უხეში თამაშის გამო მინდიოლის გაძევება მარკვინი.

ცენტრალური მატჩი შედგა „მილანსა" და „იუვენტუსს" შორის. ბრწყინვალედ თამაშობდა გოლკიპერმა დიდან, რომელმაც რამდენჯერმე უშველა გოლისგან გადაარჩინა საკუთარი კარი. 65-ე წუთზე კი თამაშობა „მილანი" დააწინაურა, თუმცა, მასპინძლებმა ეროგლიანი უპირატესობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს. მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე დი ვაიომ შეძლო სპასსო გოლის გატანა და მატჩი ფრედ (1-1) დასრულდა.

გუნდების შემადგენლობა:

„მილანი": დიდა, შიჩინი, ნესტა, მალდინი, გატუზო, პირლო, რუი კოშტა (კაკა, 78), ვეიერორი (ამბროზინი, 64), სერენიო, შევჩენკო, ტომასონი (პანკარო, 74).

„იუვენტუსი": ბუფონი, ტუდორი, ლეგროტაელი, მონტერო, პაოლო ნეგროვი, ემერსონი (მაურო, 74), ტაკინარდი (მარცკა, 81), ამოროზო, ნედვედი (ილეანო, 86), ტრეზეგე, დი ვაიო.

ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „უდინეზე" — „ლაციო" 1-2, „რომა" — „რეჯინა" 2-0, „ბრეშა" — „პარმა" 2-3, „მოდენა" — „ვერონა" 1-0, „ბოლონია" — „სამპდორია" 0-1, „ლეჩე" — „ემპოლი" 2-1. „ანკონა" — „სიენა" 0-0.

სატურნირო ცხრილში 20-20 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ „მილანი" და „იუვენტუსი", 18 ქულით მესამეზე „რომა".

ინგლისის პრემიერლიგის მორიგ ტურში სასწაულები არ მომხდარა, ყველა ფავორიტმა გაიმარჯვა. აბრამოვიჩის „ჩელსიმ" მეტეს ერთადერთი გოლის წყალობით სტუმრად მოეგო „ევერტონს". „მანჩესტერ იუნაიტედმა" საკუთარ მოედანზე გაანადგურა „პორტსმუთი" — 3-0. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ფორლანმა, კრისტიან როსანდომ და კინმა. რაც შეეხება „არსენალს", ამ გუნდმა — 4-1 სძლია სტუმრად „ლიდს".

სხვა მატჩები: „ნიუკასლი" — „ასტონ ვილა" — 1-1, „მიდლსბრო" — „უოლვზი" — 2-0, „საუთჰემპტონი" — „მანჩესტერ სიტი" — 0-2, „ტოტენჰემი" — „ბოლტონი" 0-1, „უოლვზი" — „ლივერპული" — 1-2, „ლესტერი" — „ბლეკბერნი" — 2-0, „არსენალი" კვლავ ლიდერია 27 ქულით. 26ქულა აქვს „ჩელსის", მესამეზე „მანჩესტერი" — 25 ქულა.

გერმანიის ბუნდესლიგის მეთორმეტე ტურში ლევან კობიაშვილმა და მისმა „შალკემ" 2-0 სძლია ქუეხს ჩემპიონს „ბაიერს". ანგარიში მე-16 წუთზე პატრიკ გაბსა თორმეტმეტრიანით, მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე უდე კამპფუისმა მეორე გოლი გაუტანა სტუმრებს. მოედანზე თავდაუზოგავად იჭრებოდა ქართველი ლეგიონერიც. გუნდების შემადგენლობა:

„შალკე": რისტი, პაიტი, ვალდხაი, მატლინი, კობაშვილი, პინტო (ტრიანაზი, 72), უდე კამპფუისი, პოფლინი, (ჭრმაკენი, 25), ასამოა, ჰანკე (ლიდერი, 85), სანდი.

„ბაიერნი": კანი, სალიმჰიჩი, რ. კოშინი, ლინკე, ლიზარაზუ, დაისლერი (იერგმანი, 38), დემიცელისი, ბაღაკი, ზე რობერტო (შოლი, 72), მაკაი, სანტა კრუსი (ბასარი).

ოაშვილისა და ცბტბშვილის „ფრანიბურგი" სტუმრად დიდი ანგარიშით დამარცხდა 1:4 „შტუტგარტთან".

სხვა მატჩები: „მონხენგლადბახი" — „ჰანზა" — 1-1, „მიუნხენი" — „ბოხუმი" — 3-1, „ერფურტი" — „ინტრახტი" — 3-1, „კიონი" — „ჰანოვერი" — 1-2, „ოლდსბურგი" — „ჰერტა" — 3-0, „ყაიზერსლაუტერნი" — „ლევერკუზენი" — 0-0, „დორტმუნდი" — „ჰამბურგი" — 3-2.

სატურნირო ცხრილში 27 ქულით პირველ ადგილზეა „შტუტგარტი", რომელსაც ქულით ჩამორჩება „ლევერკუზენი". 25 ქულით მესამეზეა „ერფურტი".

ესპანეთის პრიმერადივიზიონის მეათე ტურში კლავ ვერ მოიგო „დეპორტივომ" — ღა კორუნიელებმა ფრედ დაასრულეს შეხვედრა (0-0) სტუმრად „ვალისოლთან". ამით ისარგებლა მადრიდის „რეალმა", გაანადგურა რა „ბილბაო"(3-0), და 23 ქულით ჩაიწერა აქტივში. ერთი ქულით გადაუსწრო „დეპორტივოს". ამდენივე ქულა აქვს „ვალენსიას", რომელმაც ამ ტურში, სტუმრად, „ვიზანთან გაასწორა" „მალორკა" — 5-0.

დანარჩენი მატჩები: „სელტა" — „რასინგი" — 0-1, „ესპანიოლი" — „სარაგოსა" — 0-2, „მალაგა" — „სევილია" — 2-0, „ბეტისი" — „ათლეტიკო" — 1-2, „ვალიადოლიდი" — „ლასპალტე" — 2-0, „ვილარეალი" — „ოსასუნა" — 1-0, „სოსიედადი" — „ბარსელონა" — 3-3.

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-12 ტურში „მონაკოს" საკუთარ მოედანზე 4-2 დაამარცხა „ლემანი". არადა, ერთ მომენტში სტუმრები იყვნენ (1-2), მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს ძალების მობილიზება და მნიშვნელოვანი სამი ქულის მოპოვება.

დამარცხდა „მარსელი", რომელმაც „ბორდოსთან" მატჩი ცხრა კაცის შემადგენლობით დაასრულა. — უხეშობისთვის მსაჯმა მოედიდან გააძევა დროგბა და კრისტანეი. საბოლოდ „ბორდომ" დარშეილს ერთადერთი გოლის წყალობით ამარჯვა. „ლიონმა" შინ ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა „ნიკას". „ლიონსაც" და „მარსელსაც" 24-24 ქულა აქვთ და სამი ქულით ჩამორჩებიან ერთპიროვნულ ლიდერს — „მონაკოს".

სხვა მატჩები: „ბასტია" — „აიაჩო" — 1-1, „ლილი" — „გენგამი" — 1-3, „მეცი" — სოშო" — 0-1, „მონპელიე" — „ნანტი" — 4-1, „რენი" — „სტასბური" — 1-1, „ტულუზა" — „ოსერი" — 0-3, „ასე" — „ლანსი" — 0-1.



შოტლანდიის პრემიერლიგის მეთორმეტე ტურში როგორც იქნა გაიმარჯვა „რეინჯერსმა". შოთა არველაძემ და მისმა თანაგუნდელებმა 3-1 სძლიეს „ჰარტსს". „სელტიკმა" 5-0 გაანადგურა „კილმარნოკი" და კვლავ 5-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა ხუთლიგს მდევართან — „რეინჯერსთან".

სხვა მატჩები: „აბერდინი" — „მოზერველი" — 0-3, „დანფერმლინი" — „დანდი იუნ." — 2-0, „დანდი — „ჰიბერნიანი" — 1-1, „ჰარტსი" — „ლივინგსტონი" — 3-1.

ჰოლანდიის ჩემპიონატის მეათე ტურში მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს „აიაქსმა" და „პსვ ეინდჰოვენმა". თუმც ამ უკანასკნელს არ გასჭირვებია „ბრედას" დამარცხება — 3-1, „აიაქსი" საკუთარ მოედანზე 76 წუთამდე აგებდა კიდეც „ალმაართან" (1-2). თუმცა მასპინძლებმა მაინც შეძლეს ორი გოლის გატანა (3-2) და მორიგი სამი ქულის აღება.

„ფეიენორდი" სტუმრად 3-0 უგდებდა „გრონინგენს", მაგრამ მეორე ტაიმში „მოახერხა" სამი გოლის გატანა და მატჩიც ფრედ დასრულდა — 3-3.

სხვა მატჩები: „როდა" — დენ ჰააგი" — 5-1, „როზენდალი" — „ნაიმეგენი" — 1-0, „ვიტესი" — „ჯონგენამი" — 2-2, „უტრეხტი" — ჰერენვენი" — 2-1, „ცვოლე" — „ტვენტე" — 1-0, „ვილემი" — „ვაალვიკი" — 4-1.

სატურნირო ცხრილში 25 ქულით ლიდერი კვლავ „აიაქსია", რომელიც ორი ქულით უსწრებს „ეინდჰოვენს".

დასრულდა **რუსეთის ჩემპიონატი**. ცნობილია, რომ ჩემპიონის ტიტული ვალიდე მოიპოვა ცსკამ — 59 ქულა, ბოლო ტურში ეს გუნდი 2-3 დამარცხდა „რუბინთან", თუმცა ამ მატჩის შედეგმა მხოლოდ ის გადაწყვიტა, რომ რუბინი 53 ქულით მესამე ადგილზე აღმოჩნდა. 56 ქულით მეორე ადგილი დაიკავა „ზენიტმა".

სხვა მატჩები: „ჩერნომორეცი" — „შინიკი" — 2-1, „დინამო" — „ალანია" — 0-0, „ლოკომოტივი" — „ურალანი" — 6-0, „როსტოვი" — „ტორპედო" — 0-0, „როტორი" — „სპარტაკი" — 1-0, „სატურნი" — „ზენიტი" — 1-3, „სპარტაკი" — „მეტალურგი" — 0-2.

სალგადომ „ჩელსის" ისევ „რეალი" არჩია

როგორც ჩანს, მადრიდის „რეალის" მეკუთე მილი სალგადო უკმაყოფილო დარჩა თავისი კლუბის პრეზიდენტთან ფლორენტინო პერესთან შეხვედრით და ახლა ლონდონის „ჩელსთან" გადასასვლელად ემზადება. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობამ საკმაოდ მაღალი ანაზღაურება შესთავაზა „სამფეო კლუბის" მეკუთვნილ.

ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ევროპული გრანდები უძლურნი არიან რუსი ოლიგარქის მილიონების წინაშე. მაინც, რა მოხდა სალგადოს და პერესს შორის? საქმე ის არის, რომ „რეალის" პრეზიდენტმა უარი უთხრა სალგადოს ხელფასის მომატებაზე, რის გამოც ფეხბურთელმა ესპანეთის ჩემპიონი გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა.

— მე დიდ თანხას არ ვითხოვდი. „რეალის" ხელმძღვანელობამაც კარგად იცოდა, რომ ჩემთვის სასურველ ხელფასს ყველგან გადამიხდიდნენ. რატომღაც სჯეროდათ ჩემი დარჩენის, მაგრამ მოტყუებენ, — განაცხადა სალგადომ, რომელიც მომავალი სეზონიდან აბრამოვიჩის გუნდის ღირსეულ ბას დაიკავებს. ცნობილი გახდა, რომ „რეალი" სალგადოს ოთხ სეზონის განმავლობაში 2,1 მილიონ დოლარს სთავაზობდა, „ჩელსიმ" კი ფეხბურთელს იმავე პერიოდში 3,6 მილიონი შეაძლია, რაშაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სალგადოს აბრამოვიჩის გუნდის ღირსეულ ბას დაიკავს.

„მალიორკა" ეტოოს შემცვლელს ეძებს

ესპანური საფეხბურთო კლუბ „მალიორკას" ერთ-ერთმა ლიდერმა სამშენ ეტო'ომ გამოთქვა სურვილი მომავალ ზაფხულს სხვა გუნდში გადავიდეს. „მალიორკას" ხელმძღვანელობამ უკვე დაიწყო მისი შემცვლელის ძებნა. მთავარ კანდიდატად ითვლება „ბარსელონას" ახალგაზრდა თავდამსხმელი სერხიო გარსია, რომელსაც თავის კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. გაცნობებთ, რომ გარსიაით დაინტერესებულნი არიან „სელტა" და „ვალიადოლიდი".

საშინაო პირველობის დროს გოგონა დაიღუპა

კოლუმბიის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში, როცა კლუბი „ეუნიორი" მასპინძლობდა „ტულუკას", ჩაიწერა სტადიონის ერთ-ერთი სექტორის ავიანი, რის გამოც 35-მა გულშემატკივარმა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო. ერთი გოგონა კი დაიღუპა. მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ მთელი გუნდი მიუახლოვდა ტრიბუნას, რათა გულშემატკივრებისთვის მადლობა გადაეხადათ მხარდაჭერისათვის. ამ უკანასკნელთ მოუწოდათ ფეხბურთელებთან ახლოს მისვლა. გულშემატკივრები მიაწყდნენ ავიანის კიდეს. სიმძიმეს ავიანმა ვერ გაუძლო და — ჩაინგრა. მატჩი მოიგო „ეუნიორმა" — 1-0.

გასაკვირი: „ორი კვირის შემდეგ პრემიერლიგაში ვითამაშებ!"

ინგლისური ფეხბურთის 90-იანი წლების ვარსკვლავმა 36 წლის პოლ გასკოინმა ფურნალისტებთან საუბარში სენსაციური განცხადება გააკეთა - იგი ყველას დაპირდა, რომ ორ კვირეში კვლავ ითამაშებს პრემიერლიგაში, კლუბ „ვულვზის" შემადგენლობაში. „მე მინდა დავბრუნდე და ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენო. სხვებზე არანაკლებ რომ ვითამაშებ, ამაში ეჭვი არ მეპარება", - განაცხადა გასკოინმა.

ტოტალიზატორის მოყვარულთათვის

დღეს და ხვალ გაიმართება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მორიგი ტური, ხოლო ხუთშაბათს შედგება უკვე ხუთი გათამაშების მატჩები. გთავაზობთ აღნიშნული რანგის ტურნირების მატჩების განრიგს ევროპული ტოტალიზატორის „უოლიამ-ჰილის" კოეფიციენტებითურთ.

ჩემპიონთა ლიგა:

	1	X	2
4 ნოემბერი			
მანჩესტერი — რეინჯერსი	1,40	3,60	7,50
ლაციო — ჩელსი	2,10	3,20	3,00
ბეშიქთაში — სპარტა	1,66	3,30	4,50
სელტა — აიაქსი	1,83	3,30	3,60
ბრიუგე — მილანი	3,60	3,10	1,90
პანათინაიკო — შტუტგარტი	2,50	3,10	2,50
პარტიზანი — რეალი	5,50	3,30	1,57
პორტო — მარსელი	1,72	3,25	4,20
5 ნოემბერი			
არსენალი — დინამო კ.	1,36	3,75	8,00
სელტიკი — ანდერლეხტი	1,61	3,60	5,00
ბაიერნი — ლიონი	1,44	3,60	6,50
ინტერი — ლოკომოტივი	1,28	4,33	8,50
მონაკო — დეპორტივო	2,37	3,00	2,70
ოლიმპიაკ. — გალათასარაი	1,90	3,20	3,50
ეინდჰოვენი — ფკ	1,50	3,40	6,00
სოსიედადი — იუვენტუსი	2,50	2,90	2,62

შეწყვა თასი

6 ნოემბერი			
გაზიანთეფი — ლანსი	2,37	3,00	2,70
სლაჟია — ლუკკი	1,40	3,60	7,50
სპარტაკი — დინამო (ბუქ)	1,57	3,50	5,00
დინამო (ზაგრ) — დნიპრო	1,72	3,25	4,20
შალკე — ბრონდბიე	1,53	3,40	5,50
ბორდო — ჰაროსი	1,36	3,75	8,00
უტრეხტი — ოსერი	2,87	3,00	2,25
ვალერენგა — ვისლა	2,87	3,10	2,20
გენოული — სპორტინგი	2,25	3,10	2,80
პანიონისი — ბარსელონა	4,50	3,30	1,66
სტიაუა — ლივერპული	3,20	3,20	2,00
ვილარეალი — ტორპედო მ.	1,44	3,60	6,50
კოპენჰაგენი — მალიორკა	2,30	3,10	1,72
პაოკ — დებრეცენი	1,44	3,60	6,50
დორტმუნდი — სოშო	1,44	3,60	6,50
ზალცბურგი — პარმა	4,50	3,10	1,72
ბაზელი — ნიუკასლი	2,25	3,20	2,75
ფეიენოორდი — ტენერიფე	1,44	3,60	6,50
პერუჯა — არისი	1,33	4,00	8,00
მანჩ. სიტი — გროკლინი	1,36	3,75	8,00
რომა — პაიდუკი	1,20	5,00	11,00
ბენფიკა — მიოლდე	1,22	5,00	10,70
ვალენსია — მაკაბი	1,16	5,50	12,00

NBA



ონილი და კობი ბრაიანტი შერიგდნენ

ნბა-ს კლუბ „ლეიკერსის" ორი ვარსკვლავის შაკილ ონილისა და კობი ბრაიანტის დაპირისპირებას სამოლოდ დაესვა „შვიდობიანი" წერტილი. შერიგებისაკენ პირველი ნაბიჯი შაკილმა გადადგა. მან განაცხადა, რომ ის და ბრაიანტი საკირონი არიან როგორც ერთმანეთისათვის, ისე გუნდისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ნბა-ს მიმდინარე სეზონში დასაწყისში „ლეიკერსმა" დამტკიცა, რომ მათ გარეშეც, მელოუნისა და პიტონის წყალობითაც შეუძლია ნებისმიერი მეტოქის დამარცხება.

კობი ბრაიანტი ტრიუმფალურად დაბრუნდა „ლეიკერსის" შემადგენლობაში. გუშინდელ მატჩში მან 21 ქულა მოაგროვა „ჯილდენ სტეიტის" წინააღმდეგ. „ლეიკერსმა" გაიმარჯვა — 87:72. მელოუნის ანგარიშზე 16 ქულა, ხოლო შაკილ ონილის 19 ქულა მოაგროვა.

ალენი ორი თვე ვერ ითამაშებს

ნბა-ს კლუბ „სიეტლის" მცველმა რეი ალენმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც ის ერთი თვის განმავლობაში ვერ თამაშობს. გასულ სეზონში მან 29 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 24,5 ქულას აგროვებდა. ექიმების აზრით, მუხლის ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ორი თვის შემდეგ ალენი კვლავ დაბრუნდება მოედანზე.

სტეფანიას ორი ქულა

ნბა-ში მოასპარეზე ქართველ კალათბურთელთაგან პირველი მატჩი ითამაშა ლაი-ლაი სტეფანიამ, რომელმაც სეზონის დაწყებამდე „პორტლენდის" შემადგენლობაში არენდას სამობილის ადგილი დაიკავა. „პორტლენდმა" 104:85 დაამარცხა „ლოს-ანჯელესი". სტეფანიას ანგარიშზე ორი ქულა. მან 13 წუთი დაყო მოედანზე, ორჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და ორი შეფდგინი გადაცვა გაიქთა.

„დენვერი" — „საკრამენტოს" შეხვედრაში ნიკოლოზ ცქიტიშვილმა იასპარეზა, მაგრამ წარუმატებლად, ამის მიზეზი არის ის, რომ ტრავმის შემდეგ იგი სრულად ჯერ კი გამოჯანმრთელებული. ცქიტიშვილმა სულ 2 წუთი დაყო მოედანზე და მხოლოდ სამი პერსონალური ჯარიმით დაამახსოვრა თავი საზოგადოებას. „დენვერმა" კი გაიმარჯვა — 109:88.

ვიტალი კლიჩკოს ლიუისის წასვლის არ სწყენია

ცნობილია, რომ ბოლო პერიოდში ეზღუდა ჯერსით მსოფლიოს ჩემპიონმა ლენოქ ლიუისმა ახალ ლონეზე გადასვლა. ლენოქ ლიუისმა არაერთი განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ შესაძლოა მან პროფესიული რინგი დატოვოს. ამასთან დაკავშირებით საკუთარი კომენტარი გაიკეთა უკრაინელმა მოკრივემ ვიტალი კლიჩკომ, რომელსაც ზაფხულში გამართულ ბრძოლაში რეფერებმა ბრატნელად დამარცხება ჩაუთვალეს. — თქვა, ლიუისი ამ ეტაპზე რინგის დატოვებას არიზეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მან ეს გააკეთა ჩემთან ჩატარებული უმძიმესი ბრძოლის გამო, — განაცხადა **ვიტალი კლიჩკომ.**

უნდა ითქვას, რომ კრივის სამყარო მოუთმენლად ელის მეორე ორთაბრძოლას ლიუისსა და კლიჩკოს შორის.

— ჯერ ვიტყვი, რა იქნება მიზეზი იმისა, თუ რატომ არ სდეს ლიუისს ჩემთან ბრძოლა, — აყრდეტს კლიჩკო, — მე არანაირ კომენტარს არ გავცემ და მანამ, ვიდრე ლიუისი საზოგადოებას არ ამცნობს თავის გადაწყვეტილებას.

● ნამდვილად იცით, რომ ლენოქი კრივს ტოვებს?

— მე ამას არ ვიტყვრობ პირველი ბრძოლის შემდეგ ლიუისმა თავი გამარჯვებულად ჩათვალა, მაგრამ სწორედ ამ ბრძოლამ მეტი კითხვა დაბადა. საზოგადოების დიდ ნაწილს არ სჯერა ლიუისის გამარჯვების და მიაჩნიათ, რომ ბრიტანელს მსაჯებმა „უშველეს". ლიუისი აღნიშნა, შეიძლება საკუთარი უპირატესობის დატკეცებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მან კიდევ ერთი ბრძოლა უნდა გამართოს.

● ნომ არ ფიქრობთ, რომ ლიუისი საკუთარი კარიერის გაგრძელებაზე-არგარძელების შესახებ გადაწყვეტილებამდე ელის თქვენსა და კორკ ჯონსონს შორის ბრძოლის შედეგს?



— დარწმუნებული ვარ, ლიუისი ჟურნალებით მიადევნებს თვალს ბრძოლას ჩემსა და ჯონსონს შორის, თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული იქნება ჟრ-ის ჯერსით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის პრეტენდენტი. ალბათ, ამის შემდეგ მიიღებს ლიუისი გადაწყვეტილებას.

ჰაიდუელდი „ფორმულა-1"-ში დაბრუნებაზე ფიქრობს

პილოტმა ნიკ ჰაიდუელდმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს მომავალ წელსაც კვლავ ისპარტოს „ფორმულა-1"-ის მსოფლიო ჩემპიონატში. ამ მიზნის განსახორციელებლად კი, მას ახალი სამეშაოს ძებნა მოუწევს, რადგან მასთან კონტრაქტზე ვერ გააგრძელა „ზაუბერის" გუნდის ხელმძღვანელობამ. ისიც ცნობილია, რომ „ფორმულა-1"-ის გუნდების უმრავლესობამ უკვე დაამტკიცეს თავიანთი პილოტების სია 2004 წლის სეზონისათვის.

„ოცი მომავალ წელს არ ვიწრები „ფორმულა-1"-ის რომელიმე გუნდში, ეს იქნება უმძიმესი დარტყმა ჩემთვის. ჯერ 26 წლის ვარ და თავს კარგ პილოტად ვთვლი. არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩემი კარიერა „ფორმულა-1"-ში დასრულდა" — განაცხადა ჰაიდუელდმა ტელეკომპანიის სატანში. ვის შეიძლება დასჭირდეს ჰაიდუელის სამსახური? საკუთარისების აზრით, პილოტს შეიძლება მიმართოს ორმა გუნდმა — „იაგუარმა" და „ჯორდანმა". არ არის გამორიცხული, რომ ჰაიდუელს ერთის მეორე დაუნდობონ, თუმცა, პილოტისთვის ფულის გადახდას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემია

აცხადებს მიღებას 2003-2004 სასწავლო წელისათვის ასპირანტურის დღის (წარმოებიდან მოწყვეტით) განყოფილებაზე სპეციალობით 13.00.04 ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა — 6 ადგილი.

აკადემიაში მიღება იწარმოებს ფასიან საქმარზე. წლიური გადასახადი 300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეები 35 წლის ასაკამდე, რომელიც დამთავრებული აქვთ ბაკალავრიატი და სპორტის აკადემია 2001 წლამდე და აქვთ მეშაობის სტაჟი არა ნაკლებ ორი წლისა.

სპორტის აკადემიაში შემსვლელები ბარებენ ორ გამოცდას — სპეციალობასა და უცხო ენაში.

კონკურსში მონაწილედ უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე
2. კადრების ალრიცხვის ფურცელი
3. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი
4. 4 ფოტოსურათი (ზომით 3X4)
5. პირადობის მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული ასლი
6. ჯანმრთელობის ცნობა
7. გამოკვლევების სამეცნიერო შრომების სია (ასლაც სამეცნიერო შრომები არა აქვს, ის წარმოადგენს რეფერატს სპეციალობაში)
8. მომავალი მეცნიერ-ხელმძღვანელის თანხმობა.

საბუთების მიღება იწარმოებს 2003 წლის 5-დან 15 ნოემბრის ჩათვლით.

გამოცდები ჩატარდება 20 და 27 ნოემბერს სპეციალობასა და უცხო ენაში.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49. ტელ. 29-37-94.

მნიშვნელოვანი სპორტული გაღაცემები

4 ნოემბერი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. 18.30. **რუსთავი-2.** ჩემპიონთა ლიგა: „ლაციო" — „ჩელსი" (23.45). მიმხილვა (2.00). **ევროკა.** „სპორტის სამყარო" (21.40" (21.40), მე-9 არხი. ევროპის სტადიონებზე (20.00). *НТВ плюс футбол.* ფეხბურთი. ჩემპიონატი „შახტიორი" — „დინამო" (13.15). ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმხილვა (15.45, 22.20). ბრაზილიის ჩემპიონატი (17.00 — „სანტოსი" — „კორინტიანსი"). ინგლისის ჩემპიონატი. „ბირმინგემი" — „ჩარლტონი" (18.45, მიმხილვა — 21.05), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმხილვა (22.20). „ჩემპიონთა ლიგა. ყველა დროის საუკეთესო მოგებები" (23.20). ჩემპიონთა ლიგა. „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ვალენსია რეინჯერსი" (1.45), ნბა-ს მიმხილვა (6.30), ნბა-ს ლეგენდები. უაიტ ჩემბერლენი (7.00), ნბა-ს ბრწყინვალე თამაშები, 1978 წ. (8.00). *НТВ плюс спорт.* ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (14.50, 20.00). *НТВ плюс футбол* ჩემპიონთა ლიგა: „ლაციო" — „ჩელსი" (13.25). „პორტუ" — „ვალენსი" (15.15). „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ლანსი რეინჯერსი" (19.10). „პორტუ" — „იოკაჰო" (20.55). საქართველო მატჩები რაგბერ ეროპში (23.20). „არსენალი" — „ტარანი „დინამო" (1.35). ნბა-ს ბრწყინვალე თამაშები (5.00, 1978 წლის ფინალური მატჩი. 7.30 — „პორტლენდი" — „შემფისი". პირადპირი ტრანსლაცია.) *НТВ плюс спорт.* წრიული ატლეტიკები. მოფლი ჩემპიონატი (11.45). ბილიარდი. რუსეთის 16 უძლიერესის ფინალი (15.00). სპორტული ცეკვები. მსოფლიო თასი. I ნაწილი (18.20). ყველაზე ლონიერი ადამიანი იამაკაზე. ნაწილი მე-2 (22.40). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „ინტერი" — რუსეთის „ლოკომოტივი" (23.35). „რეალ სოსიედადი" — „იუვენტუსი" (2.00). მოკი. ნხლ-ის ჩემპიონატი (4.30). EUROSPORT. ჩოგბურთი. „ატპ"-ს ლეგენდები (14.30, 20.00, 21.30, 4.30, 6.00). საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი. სუპერლიგა. მიმხილვა (22.30).

5 ნოემბერი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ჩემპიონთა ლიგა: „ლაციო" — „ჩელსი" (15.20), „პიონიო" — „ლიონი" (23.45), მიმხილვა (2.00). ევროკა. „სპორტის სამყარო" (21.40). მე-9 არხი. ევროპის სტადიონებზე (20.00). *НТВ плюс футбол* ჩემპიონთა ლიგა: „ლაციო" — „ჩელსი" (13.25). „პორტუ" — „ვალესელი" (15.15). „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ლანსი რეინჯერსი" (19.10). „პორტუ" — „იოკაჰო" (20.55). საქართველო მატჩები რაგბერ ეროპში (23.20). „არსენალი" — „ტარანი „დინამო" (1.35). ნბა-ს ბრწყინვალე თამაშები (5.00, 1978 წლის ფინალური მატჩი. 7.30 — „პორტლენდი" — „შემფისი". პირადპირი ტრანსლაცია.) *НТВ плюс спорт.* წრიული ატლეტიკები. მოფლი ჩემპიონატი (11.45). ბილიარდი. რუსეთის 16 უძლიერესის ფინალი (15.00). სპორტული ცეკვები. მსოფლიო თასი. I ნაწილი (18.20). ყველაზე ლონიერი ადამიანი იამაკაზე. ნაწილი მე-2 (22.40). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „ინტერი" — რუსეთის „ლოკომოტივი" (23.35). „რეალ სოსიედადი" — „იუვენტუსი" (2.00). მოკი. ნხლ-ის ჩემპიონატი (4.30). EUROSPORT. ჩოგბურთი. „ატპ"-ს ლეგენდები (14.30, 20.00, 21.30, 4.30, 6.00). საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი. სუპერლიგა. მიმხილვა (22.30).

6 ნოემბერი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ჩემპიონთა ლიგა: „პიონიო" — „ლიონი" (15.20). ევროკა. „სპორტის სამყარო" (19.30). მე-9 არხი. ევროპის სტადიონებზე (14.50). „ქართული ფეხბურთი" (20.00). იმედი. „ცქტფტტ" (21.30). *НТВ плюс спорт.* ჩემპიონთა ლიგა. „ინტერი" — რუსეთის „ლოკომოტივი" (13.25). „არსენალი" — „ტარანი „დინამო" (17.30). სპორტსმენის „ოლიმპიელი" — „დალთასარი" (19.45). ბრაზილიის ჩემპიონატი (15.20). „ფეტბოლ მენდიალი" (0.05). ბრაზილიის ჩემპიონატი (0.35). გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმხილვა (1.35). ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმხილვა (2.35). ნბა-ს საალაბერტო არხი (4.00). *НТВ плюс спорт.* ჰოკეი: ნხლ-ის ჩემპიონატი (11.20, 4.00), ევროპული „ჯარალ" თასი: ფინეთი — რუსეთი (20.25), შეფდეთი — ჩეხეთი (0.35), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი. ბიძდაპარი ტანსლაცია (4.00). EUROSPORT. ჩოგბურთი „ატპ" (12.00, 14.30, 16.45, 6.00). კრივი. ვბა-ს ევრსი: მ. ტრაბან — ჰ. ა. რიგერა (21.30). კიკბოქსინგი (23.15). ფეხბურთი. ფეხბურთის თასი. კლასიკი (3.00).



კრისვორდი № 85

ჰორიზონტალურად: 5. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 7. მეზობელი ქვეყნის ყველაზე სპორტული პრეზიდენტი, 8. საოლიმპიადო სპორტსმენი, 9. პელეიანების გამომყვანებელი, წარსულში სპორტსმენი (წყალბურთელი), 10. პოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 12. „ფაშიზორის" ავიაკატასტროფაში დაღუპული ფეხბურთელი, 13. ოლიმპიური ბაზა ავსტრიაში, 17. შეკიბრების დაწერის ნიშნის მიმცემი სტარტზე მდგომთათვის, 20. კრივში ცნობილი პრომოუტერი, 21. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მსაჯი, 22. საფეხბურთო მოედანი ბაქშვებისათვის თბილისში, 25. ინგლისის 1 დივიზიონის საფეხბურთო გუნდი, 26. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი.

ვერტიკალურად: 1. ცნობილი ჩეხი ჰოკეისტი, ირეი ... 2. მოსკოვის „სპარტაკის" ვეტერანი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 3. წყალტუბოში ოლიმპიური პრიზიორის ცოტაძის სახელი, 4. მძლეოსნობაში რბენის სახეობა, 5. ქართველი ფეხოსანი, ოლიმპიადის მონაწილე, 6. ევროპის ერთ-ერთის უძლიერესი ფეხბურთელი, გასული საუკუნის 40-50-იან წლებში (ინგლისელი), ფილიპ ... 8. იოგას ტერმინი, 11. კარატეს სახეობა, 14. წარსულში ცნობილი ქართველი ფალავანი, 15. საბჭოთა პერიოდის ლენინგრადის საფეხბურთო გუნდი, 16. მთის წყვეტებიდან მწვრთნელი, 18. ბატონ ერთი ნახევარი, 19. ევროპაში მოთამაშე არგენტინელი ფეხბურთელი, 23. მისალმება კარატეში, 24. პოლონეთის 11 დივიზიონის საფეხბურთო გუნდი.

შეადგინა ნოდარ ჯაბვაძემ

№84 კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 5. სიტლი, 8. ბაგრატიონი, 9. „ნიცა", 10. ტანღმი, 11. შელა, 13. ფილია, 15. ტატი, 19. კასკადიორი, 20. ეტლი, 23. ანატომია, 24. აზია.

ვერტიკალურად: 1. ტაბიძე, 2. ტრიალო, 3. ატაცი, 4. შორტი, 5. „სიონი", 6. ელბერი, 7. ლატინნა, 11. შუშაკი, 12. ამპანაი, 13. „ფეტა", 14. ჰასანი, 16. ტატამი, 17. ჩია, 18. „ბრანი", 21. „ირაო", 22. ოტო.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს სეკ-ის შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს გივი ხაჩიძეს შვილიშვილის

ბიორი ტატუშვილის

გარდაცვალების გამო.

სპორტული და მთლიანად ქ. გორის საზოგადოებრიობა ღრმა სამძიმარს უცხადებს გივი ხაჩიძეს შვილიშვილის

ბიორი ტატუშვილის

გარდაცვალების გამო.

„ლელოს" რედაქცია გულითადად თანაუგრძნობს ღრმა მწუხარებაში სეკ-ის შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს გივი ხაჩიძეს შვილიშვილის

ბიორი ტატუშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებით ეუწყება, რომ გარდაიცვალა ვეფხვისტყაოსნის პედაგოგი, ამავე აკადემიის ფიზიკური აღზრდისა და მეთოდიკის კათედრის ყოფილი უფროსი მასწავლებელი, ბოლო წლებში პედაგოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ზოთა ბამბარაშვილი

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.